ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EU 4 Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

ევროკავშირის სამრეწველო კვირეული 2022

ეროვნული კონფერენცია - რესურსეფექტური და სუფთა წარმოება, როგორც ეკონომიკის „მწვანე გარდაქმნის “ საშუალება საქართველოს სამრეწველო საწარმოებისთვის

ღონისძიება ორგანიზებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროკავშირი გარემოსთვის პროგრამის კომპონენტის „წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ ფარგლებში

დღის წესრიგი
(სამუშაო ვერსია)

შეხვედრის ბმული

თარიღი:
2022 წლის 8 თებერვალი
დრო: 11:00 AM - 3:00 PM (GMT+4)

ფორმატი: ვიდეო-კონფერენცია
სამუშაო ენა: ქართული და ინგლისური (სინქრონული თარგმანით)

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

EU INDUSTRY WEEKS

European Commission

დღის წესრიგი

მოდერატორი: გიორგი აბულაშვილი, პროექტის ეროვნული კოორდინატორი ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორი

დრო (GMT+4)	საკითხი
11:00 – 11:30	**გახსნა** **მაია ბითაძე** საქართველოს პარლამენტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე **რომეო მიქაუტაძე** ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე დარრასი,** ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში კავშირები, ენერგია, გარემო და კლიმატის ცვლილების პროგრამების კოორდინატორი **ტატიანა ჩერნიავსკაია,** გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის დირექტორატი, ევროკავშირი გარემოსთვის პროექტის მენეჯერი
11:30-11:50	**საწარმოებში მწვანე განვითარების მასტიმულირებელი ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები,** მოდერატორი: **მალხაზ ადეიშვილი,** EU4Environment , პროგრამის ქმედებათა ეროვნული კოორდინატორი **მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობა მწვანე და მდგრად განვითარებაში** **სალომე თვალოძე,** საქართველოს ეროვნული ბანკი, მაკროფინანსური მოდელირებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი, **მრეწველობის როლი საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილით აღებულ ვალდებულებაში.** **მაია ცხვარაძე,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსდაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის კლიმატის ცვლილების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

11:50 – 12:40	**წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები - რესურსეფექტური და სუფთა წარმოება და ეკო-ინოვაცია მცირე და საშუალო საწარმოებში** **რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) მოქმედებაში: მოწინავე გამოცდილება და პროგრესი** მოდერატორი: **გიორგი აბულაშვილი,** ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, დირექტორი, პროექტის ეროვნული კოორდინატორი, **რესწ-ის ცალკეულ საწარმოებში დანერგვის შედეგები** **კონსტანტინე ბარჯაძე,** ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, პროექტის ტექნიკური ექსპერტი, **რესწ კლუბის წევრ კომპანიებში მუშაობის შედეგები** **ნიკოლოზ ჯავშანაშვილი,** ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო , რესწ კლუბების ფასილიტატორი **სამრეწველო ნარჩენების მართვა (რუკირება), შერჩეულ ორ მუნიციპალიტეტში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვისთვის: წინასწარი დასკვნები** **ნინო როსტომაშვილი,** კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, პროექტის კომპონენტის „წრიული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა“, ასისტენტი,
12:40-12:45	**პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი** **ან დე შრივერი,** გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) პარტნიორი უფროსი ექსპერტი,
12:450-13:00	**შესვენება**
13:00 – 13:40	**„მწვანე“ მრეწველობის ფინანსური შესაძლებლობები და წარმატების ისტორიები საქართველოში** მოდერატორი: **ნელი პეტკოვა,** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) **მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა** **თეონა ბაბუნაშვილი,** აწარმოე საქართველოში, მეწარმეობის დეპარტამენტი, სახელმწიფო პროგრამების მართვის უფროსი მენეჯერი, **მარიამ გვარჯალაძე,** სოფლის განვითარების სააგენტო (RDA), პროექტების მართვისა და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის, გრანტებისა და ინვესტიციების შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, **მწვანე დაფინანსებაში ჩართული ადგილობრივი ბანკები - თიბისი, პროკრედიტი, საქართველოს ბანკი** **იოსებ როსტომაშვილი,** თიბისი ბანკი, კორპორატიული ბიზნესის პორტფელისა და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ხელმძღვანელი
13:40-14:10	**მცირე და საშუალო საწარმოების „გამწვანების“ მხარდასაჭერად მიმდინარე პროგრამები საქართველოში.** მოდერატორი: **გიორგი აბულაშვილი,** ენერგოეფექტურობის ცენტრი

	საქართველო, დირექტორი, პროექტის ეროვნული კოორდინატორი **წრიული ეკონომიკა საქართველოში** **დარიუშ პრასეკი,** წრიული ეკონომიკის პროგრამის გუნდის ლიდერი საქართველოში, საერთაშორისო ექსპერტი მდგრადი დაფინანსების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სფეროებში, გაეროს მრჩეველთა საბჭოს წევრი წრიული ეკონომიკის საკითხებში, EBRD-ის გარემოსდაცვითი და მდგრადობის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი **მარიამ ქიმერიძე,** საქართველოს ბუნების მკვლევართა საზოგადოება „ორქისი“, თავმჯდომარე **საქართველოს წრიულ ეკონომიკაზე მოქმედი ენერგეტიკული და ეკონომიკური ინდიკატორები.** **მაკა ჯიშკარიანი** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ენერგეტიკის ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, სრული პროფესორი **წრიული ეკონომიკის განვითარება შავი ზღვის აუზში** **ელენე ჩხეიძე,** სოციალური კვლევებისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრი, აღმასრულებელი დირექტორი **ბიზნესის „გამწვანების“ სტიმულირება მდგრადი საჯარო შესყიდვებისა (SPP) და დამატებითი ინსტრუმენტების მეშვეობით (EU4Environment)** **თამარ ალადაშვილი,** დირექტორი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
14:10 -14:40	**რესწ-ის მაგალითები** მოდერატორი: **კონსტანტინე ბარჯაძე** , ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, პროექტის ტექნიკური ექსპერტი, **ნიკოლოზ ჯავშანაშვილი** რესწ კლუბების ფასილიტატორი რესურსეფექტურობის ბიზნეს-მაგალითების პრეზენტაციები საქართველოში რესწ კლუბების წევრი შერჩეული სადემონსტრაციო კომპანიებისა და საწარმოებისგან რესწ ექსპერტ სტაჟიორების და კომპანიების წარმომადგენლების ერთობლივი პრეზენტაცია
14:40-15:00	**UNIDO-ს რესწ ტრენინგის და სადემონსტრაციო პროგრამის მიერ მომზადებული რესწ ექსპერტების სერთიფიცირების ცერემონია** მოდერატორი: **ტატიანა ჩერნიავსკაია,** EU4Environment გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის დირექტორატი, პროექტის მენეჯერი,
15:00-15:10	**კონფერენციის დახურვა**

კონფერენციის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

კონფერენციის მიზანია წარმოაჩინოს და ხელი შეუწყოს საქართველოს სამრეწველო საწარმოების „მწვანე“ გარდაქმნის პროცესის მდგრადობას, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) მეთოდოლოგიის გამოყენებით. იგი ასევე საშუალებას იძლევა წარმოადგინოს და განიხილოს დამატებითი ინსტრუმენტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს, გახდნენ უფრო

ეკომეგობრულნი.

ღონისძიების მთავარი თემაა რესურსეფექტურობა ანუ რესწ - სისტემური მიდგომა რომელიც გამოიყენება პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების პროცესებზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რათა გაზარდოს სამრეწველო სექტორის ეფექტურობა და შეამციროს რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. UNIDO-მ შეიმუშავა რესწ მეთოდოლოგია, რათა დაეხმაროს საწარმოებს გამოავლინონ, შეაფასონ და შეამცირონ რესურსების მოხმარება, დანაკარგების აღმოფხვრასთან, მდგრადობის გაზრდასა და პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასთან ერთად. UNIDO-ს რესწ მეთოდოლოგიის დანერგვა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროგრამის - EU4Environment-ის ფარგლებში. ღონისძიებაზე ასევე განხილული იქნება სამრეწველო ნარჩენების მართვის და წრიული ეკონომიკის საკითხები.

ეს ღონისძიება ევროკავშირის სამრეწველო კვირეულის ნაწილია **EU Industry Weeks 2022** . იგი მიმართულია საქართველოს სამრეწველო საწარმოების ეროვნული შესაძლებლობების განვითარებისკენ, მრეწველობას/კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგისაა და „მწვანე“ ინვესტიციების ხელშეწყობაზე. ღონისძიების ორგანიზატორია გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), როგორც EU4Environment პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორი, ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორთან - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოსთან ერთად.

პრაქტიკული ინფორმაცია

ღონისძიება იმართება ვირტუალურ ფორმატში, ინგლისურ და ქართულ ენებზე (სინქრონული თარგმანით). ინტერაქტიული ელემენტების სახით იქნება თემატური პრეზენტაციები რესწ ტრენინგისა და შეფასების პროგრამის შესახებ, ღია სესია ცოდნის გაზიარებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის გამწვანების მხარდასაჭერად მიმდინარე პროგრამების პრეზენტაციისთვის, არსებული ფინანსური შესაძლებლობები „მწვანე“ ინდუსტრიული პროექტების განსახორციელებლად და პროექტის ფარგლებში საქართველოში მომზადებული რესწ ექსპერტებისა და სადემონსტრაციო კომპანიების სერთიფიცირების ცერემონია. ახლად მომზადებული რესწ ექსპერტები და საწარმოები წარმოადგენენ რესწ მეთოდოლოგიით ჩატარებული შეფასების შედეგებს.

ღონისძიებაზე დასასწრებად სავალდებულოა რეგისტრაცია მითითებულ ბმულზე:

https://us06web.zoom.us/meeting/register/tZMsdOyrpz8uGNfsMbjRM2MSBMsJYE5UhdI0

რეგისტრაციის შემდეგ მიიღებთ დამადასტურებელ ელექტრონულ წერილს, რომელიც შეიცავს შეხვედრაში მონაწილეობისთვის საჭირო ინფორმაციას

მონაწილეები

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებით დაინტერესებული სუბიექტები, მათ შორის, სამთავრობო უწყებები სამრეწველო საწარმოები, ბიზნესი, საინჟინრო (ქიმიური, სამრეწველო, გარემოსდაცვითი) და ენერგეტიკის სფეროს ექსპერტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ახალ გადამზადებული რესწ ექსპერტები, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ EU4Environment პროგრამის რესწ საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტში.

კონფერენციაზე მოწვეულთა შორის იქნებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს რესურსეფექტურობისა და წრიული ეკონომიკის მიმართ და წარადგინეს კვლევის შედეგებიე EUSEW2021 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა 90 ადამიანია.
კონფერენციის ჩანაწერი ხელმისაწვდომი გახდება ფართო აუდიტორიისთვის, მისი დასრულების შემდეგ.

მოკლე ინფორმაცია

მრეწველობისა და საწარმოების ფუნქციონირების და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიდგომა არის რესწ-ის დანერგვა. ეს მიდგომა ეფუძნება რესურსების, ენერგიისა და მასალების დაზოგვის პოტენციალის შეფასებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მყარი ნარჩენების, ჩამდინარე წყლებისა და ჰაერის დამაბინძურებლების გამოყოფას გარემოში და ნარჩენების წარმოქმნას (რაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს საწარმოების ეკონომიკური ხარჯების შემცირებას). რესწ მეთოდოლოგია გამოიყენება საწარმოს სპეციალისტების, მრეწველობისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სფეროს ექსპერტების მიერ, რათა გამოავლინონ დანაკარგების წყაროები ყველა ტიპის რესურსისთვის, დაადგინონ ასეთი დანაკარგების ძირითადი მიზეზები და შეადგინონ და შეაფასონ იმ ღონისძიებების მიზანშეწონილობა, რომლებიც მიმართულია დანაკარგების შემცირებაზე ან სრულად აღმოფხვრაზე უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში.

კონფერენცია სამრეწველო საწარმოებს მიაწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას რესწ-ის სარგებელის შესახებ და რესწ ქართველი ექსპერტების მიერ შესრულებული შერჩეული კომპანიების შეფასებების მაგალითებით წარმოაჩენს მის ეფექტურობას. ექსპერტები გადიან რესწ ტრენინგს და აფასებენ ადგილობრივ კომპანიებს, რითაც ეხმარებიან მათ გახდნენ უფრო ეფექტური და ეკომეგობრული. საწარმოთა ჯგუფებთან (რესწ კლუბები) მუშაობა ხორციელდება მაღალი დონის გონივრული და ინოვაციური ბიზნეს ინიციატივების მასშტაბირების მიზნით. ეს ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და მრეწველობის სექტორს გახდის უფრო მდგრადს.

EU4Environment-ის შესახებ

პროგრამა „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) მიზნად ისახავს დაეხმაროს ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსს, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინას, შეინარჩუნონ ბუნებრივი სიმდიდრე და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებით და გახსნით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების შექმნით.
დაახლოებით 20 მილიონი ევროს ბიუჯეტის პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი, საშუალებით.
დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: http://www.eu4environment.org/

ამ ღონისძიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ-ნ ლიანა ღარიბაშვილს, პროექტის კოორდინატორის ასისტენტს საქართველოში (ელ. ფოსტა: l_gari@eecgeo.org, ტელ: +995 599 548782).

საქართველოში საქმიანობის შესახებ ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ბმულს: www.recp.ge